82 (2)
ფ-30

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამთა ფარულავა

ადამიანის პრობლემისათვის გორგანის „ვის ო რამინში“

10.01.06. – მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ალექსანდრე გვახარია
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

კონსულტანტი — რევაზ სირაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები:
1. ნანა ფურცელაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
10. 01. 06.
2. ინგა კალაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი
10. 01. 06.

2220

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წ. „10“ ნოემბერს 14 -- საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს პ 10. 06 №8 სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

მისამართი: უნივერსიტეტის ქუჩა №2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 9 ოქტომბერს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი — რ. ციხითათრიშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სამეცნიერო ნაშრომის სიახლე და თემის აქტუალობა: სამეცნიერო გამოკვლევათა სიუხვისა და მრავალფეროვნების მიუხედავად, გორგანის პოემა „ვის ო რამინი“ თუ ქართული „ვისრამიანი“ ჯერ კიდევ ბევრ საინტერესო კითხვას იმარხავს. დღემდე სპარსული დედნისა თუ მისი ქართული თარგმანის კვლევა, ძირითადად, ისტორიულ-ფილოლოგიური, ტექსტოლოგიური თუ ლექსიკოლოგიური კუთხით არის წარმართული. პოემის თითქმის ყველა მკვლევარი აღნიშნავს თხზულების ფსიქოლოგიურ სიღრმესა და ავტორის მიერ ადამიანის სულიერი სამყაროს ხატვის დიდ ხელოვანებას. თუმცა ეს პირველი ვრცელი საგანგებო ნაშრომია, რომელიც გორგანის პოემის ანთროპოლოგიურ პრობლემატიკას იკვლევს.

კვლევის მიზნები და ამოცანები: ნაშრომი მიზნად ისახავს ადამიანის მხატვრული მოდელის შესწავლას თხზულებაში, „ვის ო რამინის“ გმირთა გულისა და გონების მოძრაობის, პერსონაჟის სიტყვის მხატვრული და ფსიქოლოგიური ბუნების, სიყვარულის კონცეფციის კვლევას ფახრ ედ-დინ გორგანის პოემაში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომის შედეგები საგულისხმო უნდა იყოს არა მხოლოდ გორგანის პოემის ანთროპოლოგიური კვლევის თვალსაზრისით, არამედ ამ თხზულების ადამიანის კონცეფცია გზამკვლევად შეიძლება გამოდგეს ადამიანის მხატვრული მოდელის შესასწავლად სპარსულ თუ ქართულ ლიტერატურაში, შესაძლებლად მიგვაჩნია კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში გამოყენება.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრაზე. ნაშრომის განხილვა და აპრობაცია შედგა ამავე კათედრის სხდომაზე 2006 წლის 10 მაისს.

ნაშრომის სტრუქტურა, ნაშრომი შედგება, შესავლისაგან, სამი თავის (I თავი ორი ქვეთავით, II თავი სამი ქვეთავით), დასკვნებისა და დანართისაგან (საილუსტრაციო მასალის ძირითადი ნაწილი).

ნაშრომის მოკლე შინაარსი:

შესავალი

ნაშრომის შესავალი მიმოიხილავს თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას, კვლევის მიზნებსა და ამოცანებს.

ირანში გორგანის პოემას ისეთი სიყვარული და პოპულარობა არ ერგებია წილად, რაც საქართველოში. სამშობლოში იგი „უზნეო“ თხზულების სტატუსსაც კი შეიძენს. საქართველოს ოქროს ხანად — ფახრ ედ-დინე-

ILIA CHAVCHAVADZE STATE UNIVERSITY * ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი * ბიბლიოთეკა №2